საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000058195226420

№ 02-106-R **16 / ივნისი / 2020 წ.**

ბრძანება

ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის დანართის საგამოცდო კომისიებისთვის დაგზავნის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგამოცდო პროცესის განსახორციელებლად, 2020 წლის 15 ივნისის რექტორის N02-105-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის დანართი - კონსერვატორიაში საკვალიფიკაციო (დამამთავრებელი), ბაკალავრიატის მისაღები და მაგისტრატურაში გამოცდის ჩატარების საგანგებო გეგმა, დაეგზავნოს საკვალიფიკაციო (დამამთავრებელი), ბაკალავრიატის მისაღები და მაგისტრატურის საგამოცდო კომისიის ყველა წევრს სავალდებულოდ გასაცნობად.

2. დაევალოთ საკვალიფიკაციო (დამამთავრებელი), ბაკალავრიატის მისაღები და მაგისტრატურის საგამოცდო კომისიის წევრებს დოკუმენტის მიღებისა და გაცნობის ხელმოწერით დადასტურება.

3. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ–გვერდზე www.tsc.edu.ge

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)